

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №7 ივლისი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იმგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

29(12.07) — ხსენება დიდებულთა და ყოვლადქებულთა, თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი

წმიდა მოციქული პეტრე (სვიმეონი) გალილეველი მეთევზის, იონას ძე იყო. მას განკაცებული უფლის გამოჩენა ძმამ, ანდრია პირველწოდებულმა ახარა და მანვე მიიყვანა იესოსთან. ერთხელ პეტრე იაკობთან და იოანესთან ერთად გენესარეთის ტბაზე თევზაობდა, მთელი ღამის უშედეგო თევზაობით დამაშვრალ და შეწუხებულ სიმონს უფალმა ურჩია, კიდევ ერთხელ გადაესროლა ბადე ტბაში. ისიც კურთხევას დაემორჩილა და სასწაული იხილა: „შეაყენეს თევზისა სიმრავლე და დიდი და განსქდებოდეს ბადენი მათნი“.

საკვირველი სახილველით შეძრული პეტრე ფეხებში ჩაუვარდა ქრისტეს: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო“. იესომ მიუგო: „ნუ გეშინინ, სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა მონადირე“. ნაპირზე გამოსულმა უფლის რჩეულმა ზებედეს ძეებთან ერთად დაუტევა ყოველი და მიჰყვა მესიას.

იესო ქრისტეს აღდგომის შემდეგ პეტრე ღვთის სიტყვის მხურვალე მქადაგებელი და პირმეტყველ ცხოვართა ერთგული მწყემსი შეიქმნა. სულთმოფენობის დღეს მისმა მადლმოსილმა სიტყვებმა სამი ათასი კაცი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. სხვადასხვა დროს პეტრე იმყოფებოდა ანტიოქიაში, რომში, მცირე აზიის, ეგვიპტის, საბერძნეთის, ესპანეთისა და ბრიტანეთის ქალაქებში. იგი ყველგან ქრისტეს სწავლების მარცვალს თესავდა და აფუძნებდა ეკლესიებს. მის ქადაგებას მრავალი სასწაული ახლდა თან; სნეულები პეტრეს ჩრდილითაც კი იკურნებოდნენ.

წმიდა მოციქული მოწამეობრივად აღესრულა რომის სისხლიანი იმპერატორის ნერონის ზეობისას.

ჯვარზე თავდაღმა მიმსჭვალულ უფლის რჩეულს სულის ამოხდომამდე არ შეუწყვეტია ქადაგება.

პეტრე მოციქულმა დაგვიტოვა ორი ეპისტოლე, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებშია ჩართული. პეტრეს მოწაფის, მარკოზის სახარებაც მის მიერ არის მოწოდებული და ნაკურთხი.

წმიდა მოციქული პავლე ისრაელიანი იყო, ბანემიანის ტომიდან, სჯულით ფარისეველი. გულისხმიერი ჭაბუკი განისწავლა მოსეს რჯულში და როგორც ფარისეველი, მისი მტკიცე აღმსრულებელი შეიქმნა.

პეტრეს ისე სძულდა ქრისტიანები, რომ „ფრიად მავნებელი იყო ეკლესიათა მიმართ. სახლებსა შევიდოდა და ითრევდა მამებსა და დედებს და მისცემდა საპყრობილედ“.

ერთხელ დამასკოსთან ახლოს პეტრემ ზეციდან გარდამოსული ნათელი იხილა, ზეციური ხილვით გაოგნებული და შეშინებული „დაეცა ქუეყანასა ზედა, ნათლითგან გამოისმა: „მე ვარ უფალი იესუ, რომელსაც შენ მდევნი“. იესომ უბრძანა პეტრეს ქალაქში შესულიყო და დანარჩენი იქ გაეცხადებოდა. სამი დღის შემდეგ უფლისმიერი კურთხევით მოციქულთა მოწაფემ, ანანიამ, პავლე მონათლა.

ამის შემდეგ უწინდელი ფარისეველი და ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი, მტკიცე აღმსარებელი და უფლის გამორჩეული მოციქული შეიქმნა.

სულიწმიდის ბრძანების თანახმად, პავლე მოციქული მარკოზისა და ბარნაბას თანხლებით წარმართთა შორის ქრისტეს სჯულის საქადაგებლად გაემგზავრა. მან მოიარა სელევკია და კუნძული კვიპროსი. მისგან ქადაგებული სჯულის ჭეშმარიტება მრავალი სასწაულით მტკიცდებოდა. ამის შემდეგ იგი ლუკას და შილას თანხლებით კვლავ გაემგზავრა ქრისტეს სწავლების გასავრცელებლად. გაიარა სირია, კილიკია და ლიკაონია, ეგვიპტეში და საბერძნეთში. მცირე შესვენების შემდეგ კი უკან დაბრუნდა და გზად ეფესოსა და კესარიაში შეჩერდა. დააარსა ახალი ეკლესიები და განამტკიცა ძველნი.

ტკივილებითა და განსაცდელებით დამძიმებული პავლე ღვთის ნებით ამ სოფელშივე შეიქმნა ენითაუწერელი ნეტარების ღირსიც: იგი მესამე ცაზე იქნა ატაცებული, სამოთხის სიტკბოება იგემა და „ესმნეს უთქმელი სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად“.

უფლის სათნომყოფელი მოციქული მტარვალებმა კესარიაში შეიპყრეს, აქედან კი რომში გაგზავნეს, სადაც 67 წელს იმპერატორი ნერონის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

პავლე მოციქულმა დაგვიტოვა 14 ეპისტოლე, რომლებიც „ახალი აღთქმის“ წიგნებში შედის. ერთ-ერთი სახარებისა და „საქმე მოციქულთას“ ავტორი — ლუკაც მისი მოწაფე იყო.

უფლის სათნომყოფელნი — პეტრე და პავლე თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩნენ ქრისტეს მოწაფეებს შორის, რომ ეკლესიამ თავნი მოციქულნი უწოდა წმიდანებს და ერთ დღეს დააწესა მათი ხსენება.

24(7.07) შობა იოანე ნათლისმცემლისა



როგორც წმიდა სახარება (ლკ. 1,5-80) მოგვითხრობს, იოანე ნათლისმცემლის მშობლები — მღვდელმთავარი ზაქარია და ელისაბედი, „იყვნეს... წინაშე ღმრთისა მართალ“, მაგრამ სიბერის ასაკს ისე მიაღწიეს, რომ შვილი არ მისცემიათ. ერთხელ, როცა ზაქარია იერუსალიმის ტაძარში ღვთისმსახურებას აღასრულებდა, „ეჩვენა მას ანგელოზი უფლისაჲ“ და ამცნო: „შეისმინეს ვედრებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძე, და უწოდი სახელ მისი იოვანე“. შეძრწუნ-

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

ებული ზაქარია დაეჭვდა ზეციური მახარობლის სიტყვებში, რისთვისაც დაისაჯა — მეტყველების უნარი წაერთვა.

ახალგაზრდობის ასაკს საკმაოდ გადაცილებული წმიდა ელისაბედი დაფეხმძიმდა. ხალხის დაცინვისათვის თავი რომ აერიდებინა, იგი „იფარვიდა თავსა თვისსა ხუთი თთუე“, სანამ შორეულმა ნათესავმა „ყოველადწმიდა ქალწულმა მარიამმა არ მოიკითხა.

როცა „ელისაბედისნი აღივსნეს ჟამნი შობისა მისისანი... ესმა გარეგმოთა და ნათესავთა... და მის თანა იხარებდეს“. მერვე თვეს ჩვილს, მოსეს სჯულის თანახმად, წინადაცვითეს და აპირებდნენ, მისთვის ზაქარია დაერქმაათ, მაგრამ ელისაბედმა განაცხადა: „არა, არამედ ეწოდოს მაგას იოვანე“. ყველანი გაოცდნენ — ეს სახელი ხომ მის მოდგმაში არავის ერქვა და ზაქარიას სთხოვეს, ენიშნებინა მათთვის, რა უნდოდა ძისთვის ეწოდებინა. მანაც „მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: იოვანე არს სახელი მისი და გაუკჳირდა ეს ყოველთა“. ღვთის განგებით, ზაქარიას ისევ დაუბრუნდა მეტყველების უნარი, სულიწმიდის მადლით, წინასწარმეტყველებაც დაიწყო და თქვა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისაჲ, რამეთუ მოხედნა და ყო ჴსნაჲ ერისა თვისისაი, და აღმიდგინა ჩვენ რქაჲ ცხოვრებისაჲ შორს სახლსა მას დავითს მონისა თჳსისა“. ჩვილს კი მიმართა: „და შენ ყრმაო, წინასწარმეტყუელ მაღლის იწოდო, რამეთუ წარუძღუე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა“.

2(15) ივლისი — დადება პატიოსნისა სამოსელისა ყოვლაწმიდისა ღვთისმშობლისა ვლაქერნას

ბიზანტიაში ლეონ დიდის, მაკედონელის ზეობისას მეფესთან დაახლოებული პირები, ძმები გალბიუსი და კანდიდე კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში გაემგზავრნენ წმიდა ადგილების მოსალოცად. ნაზარეთის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში ისინი ერთ მოხუც ქალთან დარჩნენ ღამის გასათევად. სახლში სტუმრების ყურადღება ანთებულმა სანთლებმა და საკმევლის სურნელებამ მიიპყრო. კითხვაზე, თუ რა საწმინდე ინახებოდა მასთან, მასპინძელს დიდხანს არ სურდა პასუხის გაცემა, მაგრამ ძმებმა დაჟინებით მოითხოვეს და ქალიც იძულებული გახდა, გაემხილა, რომ იგი იცავდა ძვირფას საწმინდეს — ღვთისმშობლის სამოსელს, რომლისგანაც მრავალი სასწაული და კურნება აღესრულებოდა.

ყოვლადწმიდა ქალწულმა მიძინების წინ ერთი თავისი შესამოსელთაგანი ამ ტომის კეთილმსახურ ებრაელ ქალწულს აჩუქა და სთხოვა, რომ სიკვდილის მოახლოებისას ის სხვისთვის, ქალწულისათვისვე გადაებარებინა. ასე, თაობიდან თაობას გადაეცემოდა საწმინდე ამ ოჯახში. ძვირფასი კიდობანი წმიდა სამოსლით კონსტანტინეპოლში გადაასვენეს. პატრიარქი გენადი (+471 ხს. 31 აგვისტოს) და იმპერატორი ლეონი კრძალვით მიეახლნენ და ეამბორნენ მას. ვლაქერნაში, ზღვის სანაპიროზე, ღთისმშობლის პატივსაცემად ახალი ეკლესია ააგეს. 458 წლის 2 ივლისს წმიდა გენადი კონსტანტინეოპოლელმა ახალ კიდობანში ჩაბრძანებული საწმინდე შესაფერი პატივით გადაასვენა ამ ტაძარში. შემდგომში ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსლის კიდობანში ჩააბრძანეს მისი წმიდა ომოფორი და სარტყლის ნაწილი. დღესასწაული აერთიანებს ორ მოვლენას: ღვთისმშობლის სამოსლისა და მისვე სარტყლის დადებას ვლაქერნაში.

13 ივლისი — სვეტიცხოვლობა — კრება წმ. დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა

სვეტიცხოველი — ქართული კულტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის უმნიშნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა არა მხოლოდ თავისი მხატვრული ღირსებით, დიდებულებითა და ჰარმონიულობით, არამედ იმ განსაკუთრებული როლითაც, რომელიც მან ქართველი ერის ისტორიაში შეასრულა.

სვეტიცხოველი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა საქართველოს რელიგიურ ცენტრს, რადგან იგი იყო საპატრიარქო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის მეთაურთა, კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია. სწორედ სვეტიცხოველში ხდებოდა საქართველოს ეკლესიის მეთაურთა კურთხევა, ჯვრისწერა, ქართველ უფლისწულთა მონათვლა. აქ ხდებოდა

ქართველ მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა და კათოლიკოს-პატრიარქთა დაკრძალვა.

სვეტიცხოვლის დღევანდელი ნაგებობა XI საუკუნისაა.

პეტრე-პავლობის მომდევნო დღეს ეკლესია ქრისტეს თორმეტ მოციქულთან ერთად იხსენიებს.

კრება წმიდა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა კრეფსითობას — ეკლესიის ერთიანობას ნიშნავს.

მაცხოვრის თორმეტი მოციქულის სახელებია: პირველად სიმონ, რომელსაც ეწოდა პეტრე და ანდრეა — ძმაი მისი, იაკობ ზებედესი და ძმაი მისი — იოვანე ფილიპე და ბართლომე, თომა და მატეოს მეზუერი, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსაც ეწოდა თადეოს, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.

კრება წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა ათორმეტთა მოციქულთა უძველესი დღესასწაულია. ეკლესიას ჭეშმარიტების ამ ქადაგთაგან თითოეულის ღვაწლის მოსაგონებლად საგანგებო დღე აქვს დაწესებული, მაგრამ პეტრე-პავლობის მომდევნო დღეს ყველა მათგანს ერთად იხსენიებს.

ცნობები ამ დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ IV საუკუნიდან მოგვეპოვება.

ტროპარი: მოციქულნო წმიდანო ევედრენით მოწყალესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა.

გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე მარიამ წიკალური აგრძელებს თავისი გვარის გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების მოძიებას. ამჟამად ის გესაუბრებათ აფხაზეთის ომში დაღუპული გმირი ძმების ვასილ და ნუკრი წიკლაურებისა და თეიმურაზ და ზურაბ ზალდასტანიშვილების შესახებ, რომელთა დედა ბელა წიკლაური-ზალდასტანიშვილი ასევე მოხევე ქალატონია.

გმირები აფხაზეთიდან

2014 წლის დეკემბერში აფხაზეთიდან თბილისში ჩამოასვენეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი 12 გმირის ნეშტი. მათ შორის იყვნენ ჩვენი მოხევე გმირები. წმინდა სამების საკათედრო ტაძარში მოხევე ქალი, ბელა წიკლაური დასტიროდა ოთხ უძვირფასეს ნესტს: საკუთარ შვილებს თეიმურაზ და ზურაბ ზალდასტანიშვილებსა და საკუთარი შვილებივით გაზრდილ ორ ძმას — ვასილ და ნუკრი წიკლაურებს.

ტყუპი ძმები ვასილ და ნუკრი ზაქარიას ძე წიკლაურები ყაზბეგის რაიონის სოფელ ტყარშეტიდან იყვნენ. ნაძალადევის რაიონში ცხოვრობდნენ, იქვე მდებარე სტადიონზე გადიოდნენ მოძზადებას და ატარებდნენ შეჯიბრებებს, ახლა მას ვასილ და ნურკი წიკლაურების სახელობის სტადიონი ეწოდება.

ოთივე ძმა უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ და 1993 წლის 22 სექტემბერს სახელმწიფო მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის სოხუმიდან გამოყვანის ოპერაციაში მონაწილეობდნენ. მათი თვითმფრინავი ბაბუშერას აეროპორტში ააფეთქეს.

ვახილ და ნუკრი წიკლაურები და თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილები სამხედრო პატივით დაიკრძალნენ დიღმის ძმათა სასაფლაოზე.

ივლისის თვის საეკლესიო კალენდარი

4 — ხს. წმ. მოწ. არჩილ და ლუარსაბისა.

7 — შობა იოანე ნათლისმცემლისა.

10 — ხს. ღირსი გიორგი მთაწმინდელისა; მღვდელმოწამისა კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1918).

12 — დიდებულთა და ყოვლადქებულთა, თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.

13 — სვეტიცხოვლობა — კრება წმ. დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა.

15 — დადება პატიოსნისა სამოსელისა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა ვლაქერნას.

28 — ხს. კვირიკესი და ივლიტასი (305).

30 — ხს. დიდმოწამე მარინესი. ღირსი ლაზარესი.

ვისი გორისა ხარ

ვაგრძელებთ წერილების წერას რუბრიკით: „ვისი გორისა ხარ“. ამჯერად გვესაუბრება გიმაზიის VI კლასის მოსწავლე ნიკა ქუშაშვილი, რომელმაც საინტერესო წერილი მოგვაწოდა თავისი გვარის შესახებ.

ქუშაშვილთა გვარი

ქუშა — კაცის საკუთარი სახელია. ქუშაშვილთა გვარის ფუძეში დევს წინაპრის სახელი, ისევე, როგორც ქართული გვარების უმრავლესობაში.

ქუშაშვილი ერთძირიანი გვარია, ანუ ყველა ქუშაშვილი ერთი წინაპრის შთამომავალი და ერთმანეთის ნათესავია. ქუშაშვილთა გვარის წარმოშობის ადგილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, თერგის ხეობა, ხევი.

სოციალური მდგომარეობით მოხევე ქუშაშვილები თავისუფალი მთიელი მეთემეები იყვნენ.

არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ ქუშაშვილები ადრე ზედგენიძეები ყოფილან. ამ გადმოცემის მიხედვით, ქუშაშვილთა წინაპარი ზედგენიძე ჯავახეთიდან გადასულა ხევში, მაგრამ მოხევეებმა იციან მეორე გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც სამი ძმა ზედგენიძე დასავლეთ საქართველოდან ყოფილან და არა ჯავახეთიდან. ამ სამი ძმიდან ორი ხევის სოფელ ყანობში დასახლებულა, მესამე კი სათარგმანოში გადასულა. ორი ძმისაგან ყანობში ვარდიშვილების და კურკუმულების გვარები წარმოშობილა. მესამე ძმისაგან კი ქუშაშვილები მოდიან.

ზედგენიძე ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში. ამ გვარიდან მომდინარეობს თავად ამილახვართა და თავად გურამიშვილთა გვარები.

ზეპირი გადმოცემით ზედგენიძეთა ერთ შტოს მეზობელი გადამტერებული გვარი დასცემია და სრულად ამოუწყვეტია. გადარჩენილა ზედგენიძეთა ერთი ორსული რძალი, რომელიც თავდასხმის დროს მამის სახლში ყოფილა ქისტეთში. ქალს ბიჭი გაუჩენია, ის ბიჭი ქისტეთში გაზრდილა, დედულეთში. უკვე დავაჟკაცებული ხევში მობრუნებულა და თავისი მამა-ბიძების სისხლიც აუღია. მოხევე ქუშაშვილები იმ ბიჭზე მოდიან.

ღმეთისა და საქართველოს და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის ქუშაშვილთა გვარის მეომრები ქუდზე კაცად გამოდიოდნენ ქართლის სამეფო ლაშქრის მემარცხენე სადროშოში არაგველთა შორის.

ამჟამად ქუშაშვილები ცხოვრობენ ისევ სტეფანწმინდაში, დაახლოებით 60 კომლი და თბილისში დაახლოებით 30 კომლი.

საქართველოში ქუშაშვილთა გვარის საერთო რიცხვი 360 სულს აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი ქუშაშვილთა. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იეთიმ გურჯის ლექსი კი იმდენად მომეწონა, რომ კიდევ ერთხელ მინდა დაიბეჭდოს.

„იმას შვილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს წვავდეს,
სირცხვილი იმ გუთნისდედას,
თავის მამის საფლავს ხნავდეს“.

ნიკა ქუშაშვილი
გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“

საქართველო სიმღერების ქვეყანაა. ქართველი მთელი სულითა და გულით მღერის. ამიტომაა, რომ მსოფლიოს ხალხი აღიარებს ქართული ჰანგების საოცრებას. რამდენი ქვეყანა მოხიბლულა ქართული სიმღერებით და თავის ქვეყანაში შეუქმნია ქართული სიმღერების შემსწავლელი ანსამბლები და ისინი ისეთი სიყვარულით ეკიდებიან ამ საქმეს და ისეთი მონდომებით სწავლობენ, რომ ქართველი შემსრულებლებისაგან ვერ გამოარჩევთ. მაგალითად, იაპონელი მომღერლები, ნორვეგიელი სვენ ვოგე ისე მოიხიბლა ქართული „ჩაკრულოთი“, რომ ის საქართველოში დასახლდა, შექმნა ქართული ოჯახი და თავის სახლში ჩამოაყალიბა ქართული ანსამბლი.

მოხევეები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ თავისი განსხვავებული მუსიკითა და ფოლკლორით. გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებულმა ხალხურმა ანსამბლმა მთელ საქართველოში გაითქვა სახელი და მათი შესრულებული სიმღერები დღესაც სიამოვნებით ისმინება. უძველესი მოხეური სიმღერები „სამებაი“ და „დიდებაი“ დღესაც არ კარგავს თავის ხიბლს. ამ სიმღერებს კარგად ასრულებს ანსამბლი „ერობაი“, რომელსაც ჩვენი გიმნაზიის გალობის მასწავლებელი თამარ ხაიკაშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლი დაარსდა 2015 წელს. ანსამბლის წევრები ხალხური სიმღერების სიყვარულმა გააერთიანა. მათი მიზანია მშობლიური კუთხის ფოლკლორული ნიმუშების შესწავლა და პოპულარიზაცია.

ხალხურ სიმღერებს აღადგენს და პროფესიულ დონეზე ასრულებს მოხეური ანსამბლი „დიდებაი“ (ხელმძღვანელი ეთერ მაისურაძე). ანსამბლი დაარსდა 1995 წელს. ჯგუფის მიზანი მშობლიური კუთხის მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციაა.

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში რამდენიმე თვის წინ მეუფე იეგუდიელის ლოცვა-კრუთხევით და წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესიის მორჩილის, კონსტანტინე ქავთარაძის ხელმძღვანელობით გიმნაზიის მოსწავლეების ბაზაზე ჩამოყალიბდა ანსამბლი „ღელოვანი“. რამდენს მიაღწიეს ბავშვებმა ამ მოკლე დროში. მე თვითონ მონაწილე ვარ ამ ანსამბლის და ძალიან ვამაყობ ამით.

მოხევეებში დიდი ნიჭი იმალება მუსიკის განხრით. ვფიქრობ, მუსიკალურ განვითარებას ხელი შეუშალა იმან, რომ წლების განმავლობაში არ გვქონდა რაიონული კლუბი. რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და რაიონს მოკლე დროში ექნება კულტურის სახლი, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს. კარგი იქნებოდა დაარსებულიყო სამუსიკო სკოლაც, რომელიც ადრე თურმე კარგად მუშაობდა.

ქართველებს საამაყოდ გვაქვს ის ფაქტიც, რომ ქართული სიმღერა „ჩაკრულო“ კოსმოსში გაიგზავნა, როგორც ხალხური სიმღერის უიშვიათესი ნიმუში.

და ბოლოს, მე ისევ გალაკტიონის ლექსით მინდა დავასრულო. მართლაც „ისე არსად არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

ანა გელაძე
VII კლასი

დედას

მე შემეშინდა და გამოვიქეცი
და მოგაშურე უკანვე, დედა,
მე შემოგჩივლე, რომ გარეთ ცივა,
რომ ქვეყნად სუფევს ჭმუნვა და სევდა.

დაბრუნებული ბარტყი ბუდეში
შენც მერცხალივით უარმყავ, დედა,
შენ მკაცრად მითხარ, რომ ეს ასეა
და შეეგუო ცხოვრებას უნდა!

მე გამოვბრუნდი და გზა განვაგრძე,
ლასლასით, ყელში გაჩრილი ბურთით
და ცრემლნარევი შენი სიმკაცრე,
თან წამყვა, როგორც გაყრილი ხუნდი!

შენ ახლა უკვე საფლავი გქვია
და ახლა გეტყვი, რაც ვერ ვთქვი, ბედად —
შემინდე დედა, რაც გაწყენინე,
ისე, როგორც მე, რომ მშვი ამ ქვეყნად!

მე ლოყა შენი ქვის მკერდზე მიდევს
და ისევ იმ ძველ საჩივარს ვბედავ,
რომ გარეთ ცივა, რომ დავიღალე
და ახლაც, დედა, მე შენთან მინდა!

გულო კობიაშვილი

ნახატი მარიამ სუჯაშვილისა
VII კლასის მოსწავლე

ბალერინა

რას გვეტყვით მამაო

მიცვალებულთა შესახებ (გაგრძელება)

მტკივნეულია თუ არა სულის სხეულთან გაყრა?

ეს დანამდვილებით არავინ იცის. თუ ადამიანს რწმენა აქვს, როგორ დედის ტკივილი იცვლება უდიდესი სიხარულით ჩვილის დაბადების შემდეგ, ისე შეიცვლება ადამიანის სხეულთან გაყრის ტკივილიც სასუფეველში მოხვედრის შემდეგ — იქ ხომ სამუდამო სიცოცხლეა. თუ რწმენით ვიცხოვრებთ, თუ ამქვეყნიური სიკეთის ქმნით მოვემზადებით მარადიული ცხოვრებისათვის, ამ ქვეყნიდან წასვლის წუხილიც სამუდამო სიხარულით შეიცვლება. გაიხსენეთ თუნდაც წმინდანები, რომლებიც ღვთის რწმენით იმდენად იყვნენ სავსენი, რომ სხეულის სულთან გაყრისას სახეზე სიხარული ეწერათ — უფალი მათთან იყო. იგი ჩვენთანაც იქნება გარდაცვალების დროს — ყველამ ვიცით, რომ გარდაცვალების წინ ადამიანები ხედავენ იმ სანახებს, რაც იმქვეყნიურ ცხოვრებაში დახვდებათ. ამით ღმერთი ადამიანს წინასწარ აჩვევს და აჩვენებს იმ სამყაროს, საითკენაც მიდის და მარადიულ ცხოვრებაში გადასვლის გზას უადვილებს.

მამაჩემი კომუნისტი იყო და ბუნებრივია, კომუნისტურ იდეოლოგიას იზიარებდა, რომელიც უფალს უარყოფდა. მინდა ეს ცოდვა მას შეუნდოს და მისი სულისათვის ვილოცო, მაგრამ არ ვიცი მონათლული იყო თუ არა.

როცა ადამიანი სიცოცხლეში უარყოფდა ღმერთს, მისი მოხსენიება საეკლესიო მსახურებებში არ შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ მის სახელზე მოწყალება გაიღოთ.

რატომ ხდება მიცვალებულის მოხსენიება გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს?

გარდაცვალების მესამე დღეს მოხსენიებას გააჩნია საიდუმლო მნიშვნელობა, რომელიც ეხება სულის იმქვეყნიურ მდგომარეობას. როგორც წმ. მაკარი ალექსანდრიელს გამოუცხადა ანგელოზმა, ამ დროს ლოცვის შედეგად მიცვალებულის სულს უმსუბუქდება მწუხარება, რომელსაც ის გარდაცვალების გამო გრძნობს. გარდაცვალების შემდეგ ორ დღეს სული ანგელოზებთან ერთად მიწაზე იმყოფება, იქ, სადაც მას სურს. სული ზოგჯერ ტრიალებს იმ სახლის მახლობლად, სადაც ცხოვრობდა. მესამე დღეს უფლის ნებით სული ზეცაში ადის ღვთის თაყვანსაცემად.

ამის შემდეგ მას უჩვენებენ სამოთხის მშვენიერებას და წმინდანთა სავანეს. ის ათვალიერებს ყოველივე ამას ექვსი დღის განმავლობაში. მას ავიწყდება ის წუხილი, რომელიც სხეულთან გაყრის გამო ახლდა. მეცხრე დღეს ანგელოზებს კვლავ ღმერთთან მიყავთ, რათა თაყვანი სცეს შემოქმედს. შემდეგ სული ჩაჰყავთ ჯოჯოხეთში და 30 დღის განმავლობაში მოატარებენ იქაურობას.

მიცვალებულის გამო ორმოცი დღის განმავლობაში გლოვა უძველესი დროიდან მოდის. რიცხვი — ორმოცი — მნიშვნელოვანია. ხშირად გვხვდება წმიდა წერილებში (მოსე ორმოცი დღე-ღამე მარხულობდა ებრაელი ხალხი ორმოცი წლის განმავლობაში მიირთმევდა მანანას; იესო ქრისტემ ნათლისღების შემდეგ კი ორმოცი დღე-ღამე გაატარა უდაბნოში. წმინდა აღდგომის შემდეგ კი ორმოცი დღის განმავლობაში ასწავლიდა მოციქულებს ღვთის სასუფევლის შესახებ).

როგორც უფალმა იესო ქრისტემ სძლია ეშმაკს მას შემდეგ, რაც ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა, ისე წმინდა ეკლესია ორმოცი დღის განმავლობაში ლოცულობს, მოწყალებას გასცემს და უსისხლო მსხვერპლს სწირავს მიცვალებულთათვის. გამოითხოვს მისთვის ღვთის მადლს, რომ ცათა სასუფეველში დამკვიდრდეს. მეორმოცე დღეს სული უფლის სამსჯავროზე წარსდგება.

შეიძლება თუ არა გამოვცვალო 19-21 წლის წინ გარდაცვლილი ბებიისა და ბაბუის სურათები საფლავის ქვაზე?

უძველესი ქრსიტიანები საფლავებზე საერთოდ არ აკეთებდნენ სურათებს — მათი რწმენის გამოხატვა უბრალო საფლავის ჯვრით შემკობა გახლდათ. სურათები სასაფლაოზე მაშინ გამოჩნდა, როცა ფოტოგრაფია შეიქმნა. აქედან გამომდინარე, სურათს საფლავის ქვაზე ეკლესიურ კანონიკასთან კავშირი არ აქვს. თუ თქვენ გნებავთ წინაპრების ძველი ფოტოების შეცვლა, შეცვალეთ, ეს თქვენი პირადი ნებაა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

იბეჭდება 2005 წლის „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემული „რას გვეტყვით მამაო“ — კითხვების კრებულიდან.

რედაქტორი მანონი გოგიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ ფიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის ფმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი